ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 44

6 მარტი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

„ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში ნოდარ ბოხუას და კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩებს შორის არსებული უსახელო ქუჩისთვის და მასთან მდებარე I ჩიხისთვის შალვა გოგიძის სახელის მინიჭების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის №52 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, ნოდარ ბოხუას და კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩებს შორის არსებული უსახელო ქუჩისთვის და მასთან მდებარე I ჩიხისთვის შალვა გოგიძის სახელის მინიჭების შესახებ" ქ.თბილისის საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის №52 დადგენილება.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**